7 (19) ივნისს 1868. № 23. მესამე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:

	Тфилисში	Გაუგზავნელათ:
	და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

Цѣна ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

Тфилисში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

Тфилисის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

შინაარსი: რაჭიდგან კორრესპონდენცია.— პოლიტიკა: სლოვენების ქვეყნები.—ოსმალეთი.— ამერიკა.—ტელეგრამმები.—ზოგი ერთი შესანიშნავი მოთხრობა საქართველოს მეფის ზიარგი მეთორმეტეზედ.—ოსმალეთის ქვეშევრდომი საქრისტიანო ქვეყნების ამბავი.—სხვა და სხვა ამბავი.—სახაზინო განცხადება.

კორრესპონდენცია რაჭიდამ. დ ა ბ ა ო ნ ი.

ჩვენის პატივსაცემის გაზეთის ამ წლის რომელღაც ნომერში ერთი კორესპონდენტი ზურიიდგან მწუხარებით იწერებოდა, რომ „დროების“ მკითხველებს არც კი გაუგონიათო, ზურია საქართველოში იმყოფება თუ არაო. ამაზე ჰას ჩვენ ვერ დაეთანახმებით, რადგანაც ზურიას იმ გვარი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს ზღვის პირად და იქიდგან ისეთი შეუწყვეტელი მისვლა-მოსვლაა გამართული სხვა საქართველოს მაზრებთან, რომ არ შეიძლება, ქართველებმა, ე. ი. „დროების“ მკითხველებმა არ იცოდნენ მის არსებობა. ზგონებ, მე უფრო საფუძველი მექნება ვსთქვა, რომ რაჭის ვითარების აღწერა — სწორედ ახალ-გასაგონარი ამბავი იქნება „დროების“ მკითხველთათვის. იქნება ზოგს მათგანს მხოლოდ სახელი გაეგონოსთ რაჭისა, ისიც იმ მუშების წყალობით, რომელნიც თფილისში კურტნიანი ცხენების და საურმო ხარკამბეჩის დანიშნულებას ასრულებენ და რომელთ მდგომარეობაც ასე საწყლათ გამოხატულია ჩვენის ნიჭიერის პოეტის ლექსში „მუშა“. საზოგადოდ კი რაჭა სურამის მთის იქით მცხოვრებლებისთვის სწორედ terra incognita არის(უცნობი, უცხო ქვეყანა). ეს ჩვენი ქვეყნის მაზრების უცოდინარობა ჩემის ჰაზრით მიეწერება პირველად საზოგადოდ ჩვენის ტომის ხალხის დაუდეგნელობას, —აბა, მიბრძანეთ, რამდენი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღწერა გვაქვს, ვახუშტისა, დიუბუასი და ახალად დაბეჭდილ კალმასობის გარდა. არც ერთი. ესეც უნდა ვთქვთ, რომ გზების უქონელობისა და მგზავრობაში დიდს გაჭირებასაც მიეწერება ამ შემთხვევაში ჩვენი ლიტერატურის სიღარიბე. საჭირო ცნობებს საქართველოზე უფრო რუსული წიგნებიდგან ვიტყობთ ხოლმე, მაგრამ აბა გაეხსნათ ერთი გავრცელებული და დიახ უმჯობესი გეოგრაფიის სახელმძღვანელო, დანიელის წიგნი. მე—488 გვერდზე ჩვენ აი, რას ამოვიკითხავთ: гл. гор. Грузіи—Тифлисъ.... по грузински Мтквари (საქართველოს დედა-ქალაქი თფილისია, რომელსაც ქართულად მტკვარს ეძახიან (?!)); Кутаисъ—нѣкоторые считаютъ его гл. гор. Колхиды Аеаеа (?); Въ Мингреліи укрѣпленная гавань, Ріонскъ, (sic) возлѣ устья Ріона.... (სამეგრელოში გამაგრებული არის რიონსკი, იქ, სადაც რიონი ზღვას ერთვისო (??)). ეს ხომ სულ შემდგენელის ფანტაზიას მიეწერება... როგორ არ გაახსენდება მკითხველს შარშანდლის კალენდრის სტატიაში ზორის აღწერა: г. Гори,— названіе это происходитъ отъ сл. гори, что значисъ, по груз. свинья, и дѣйсгвительно мѣсто положеніе этого города итѣетъ большое сходство со спиною свиньи... და სხ.— ამიტომაც მე ვფიქრობ, რომ არ იქნება უინტერესო „დროების“ მკითხველებისათვის რომ რაოდენადმე გავაცნო მათ რაჭის მდებარეობა, აქაური ხალხის ხასიათი და ხალხის ახლანდელი მდგომარეობა.—

ამ მხარეს დარქმევია რაჭის სახელი, მოგვითხრობს ჩვენი გეოგრაფი, მეფე ვახუშტი, შემდგომის შემთხვევისა გამო: ერთი ქართველი მონადირე კაცი, რომელიც პირველად აქ დასახლებულა, ამოსულიყო იმერეთიდამ ნაქერალაზე, (*) იმერეთის მოსაზღვრო მთაზე, და გადმოხედა რა აქეთ მხარეზე, განცვიფრებულიყო ამ ღრმა და ვიწრო რიონის ხეობაზე, მიემზგავსებია ეს მხარე ჭას და დაეძახნა „ეს რა ჭა ყოფილაო!“ თვითონ ხალხ რომ ჰკითხო, ისიც გემოწმება ამ ამბავზე. მას შემდეგ ამ მხარეს რ ა ჭ ა დარქმევია, და არც უმიზეზოდ დარქმევია... რ ა ჭ ა ს აღმოსავლეთით და დასავლეთით საზღვრავს ზორის და ოსეთის (დიღორის) მაზრა, მურეხის მთიდგან ფასის ანუ ბასიანის მთამდის; დასავლეთით ლეჩხუმის მაზრა, ფარის მთიდგან ასკის წყლამდი და შემდგომ ქუთაისის მაზრა ნაქერალით და მისი ტოტებით, ხოლო სამხრეთიდ რაჭის საზღვარს შეადგენს შორაპნის მაზრა. ჩიქმერზე, საწალკეზე დაყოლებული და მერმე გორის მაზრა, ერწო მთიდგან დაწყებული მურეხის მთამდი. ამ საზღვრებს შუა იმყოფება ეხლანდელი რაჭის მაზრა, რომელსაც იმერეთის მეფეების დროს თავისი ერისთავი ჰყავდა, ხოლო უკანასკნელ დროს მეფე სოლომონ 1-ლმა შერისხა რაჭის ერისთავი, და ერისთაობა რაჭაში მოისპო. შესანიშნავნი ძველად აღშენებულნი ტაძრები და მონასტრები იშვიათად იპოვებიან აქ, ხოლო ციხეების და კოშკების ნანგრევები ახლაც აქა იქ სჩანან.

მკითხველი საზღვრების აღწერიდამვე მიხვდებოდა, რომ რაჭის გეოგრაფიული მდებარეობა ძალიან დაცული და თითქმის დახუჭულია მთებითა. ის შეიცავს თითქმის მარტო რიონის ხეობას, რომელიც სივიწროვით და მაღლილითაც ბევრად მიემზგავსება ზეკარის ხეობას იმ განსხვავებით, რომ აქ თვალი ვერ ხედავს იმ მშვენიერ და სხვა დ სხვა ნაირ გარდასახედავებს, რომლებითაც სავსეა გზა ბაღდადიდამ ახალციხემდი. აქაური გზებიც, ნამეტურ ის გზა, რომელიც ლეჩხუმზე მოდის, ბევრჯელ მოგვაგონებდა ჩვ ზემოხსენებული ხეობის გზებს. აქამდის ქუთაისიდამ რაჭაში მხოლოდ ერთი გარდასავალი იყო ნაქერალაზე, რომელზედაც ზამთაში დიდი თოვლისა და ბუქებისა გამო მოეპებოდა ხოლმე სიარული. ახლა გაუკეთეთ ლეჩხუმზე ვიწრო გზა, რომელსაც გაჭრიან, რუსულს შარას ეტყვიან. ეს გზა მიჰყვება სულ რიონის მარჯვენა ნაპირს და მიდის ქავკასიონ. ჯერ ამ გზის გაკეთება შესრულებული არ არის და როდესაც შესრულდება მართებლობას აქვს განზრახვა სტანციები დააწესოს ქუთაისიდამ ქავკასიამდი და რუსეთიდამ ფოჩტა პირდაპირ რიმერეთში გარდმოატანინოს. რასაკვირველია, ამ გზას დიდი კეთება და ჯაფა უნდა სისრულეში მოყვანისათვის, ახლანდელ მდგომარეობაში ურემს ვერ შეუძლია იაროს; ბევრგან ცხენსაც ძალიან უჭირს, ამას გარდ თითქმის ყოველს ადგილს მეწყერის გამო გზაზედ ჩამოდის და აწვება მიწა და თიხა. ეს ადგილობრივი აქაური მიწის თვისება ძლიერ შესანიშნავია და არიან იმგვარი სოფლები, რომლებშიაც ოთხს, ხუთ ვერტზე მიდის მეწყერი და თან-და-თან ხდებიან ყანები, ვენახები და ეზოებიც. ჩვენ მოვიყვანთ აქ ორიოდე ფაქტს, რომელნიც ამ მეწყერების მავნებელ თვისებას ცხადათ ხატავენ. ამ თხუთმეტ წლის წინეთ სოფ. უწერაში, შუალამეს გასაოცარი, ვაება მეწყერი წამოსულიყო მთის ფერდოზე, რიონის მარცხენა ნაპირზე, სადაც უფ. ბამყრელიძე ესახლა. სახლები რომ დაიძრა და კედლებმა რახარუხი დაიწყეს, ქალები და კაცები პერანგის სამარა კარში გამოცვივნილ იყვნენ, მაგრამ ორი მოსახლეების სახლები, საქონელი, აევჯულება და სხ. სრულებით დაელეწა მეწყერს და რიონამდის ჩეეტანა, თვით რიონიც დაებუგებინა. მთავრობას მთელი რაჭა გამოეწვია ამ სახლების ამოსათხრელად, მაგრამ ამაო იყო ყოველი... ხალხი ამბობს, ვითომც მეორე დღესაც მიწამ ძაღლის ყეფა ისმოდა. ახლაც სჩანს ეს მეწყერი, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს და რომელზედაც ხეები, თვით ბალახიც, ჯერ კარგად არ ამოსულა. მეორე შემთხვევა: ერთი გლეხი სამოსამართლოში მოსულიყო და უჩივოდა თავის მეზობელს ვენახზე და ხეხილზე, რომელიც მეწყერს წაეღო ქვეით და სხვის ზვარში ჩაეტანა; ხოლო მეზობელს ეთქვა: „ჩემი ვენახის მაგიერად, რომელიც სრულებით დაფარულიაო, ღმერთმა შენი ზვარი და ხეხილი მომცაო“. მეწყერი უფრო რიონის მარცხენა ნაპირზედ იცის და ჩვენის აზრით ეს მოხდება ხოლმე წყლისაგან, რომელიც მიწაში გროვდება, ნელნელ შეუდგება და გაუჯდება მთის გვერდებს, მერმე თან მოაქვს ეს თიხიანი, სუსტი მიწა. ჩვენ ვფიქრობთ უთუოდ აქ შესდგა ანდაზა, რომელიც ქართულს ენაში ხშირად იხმარება ხოლმე გაჯავრების და დაწყევლის დროს „წინ წყალი, უკან მეწყერი, შუაში მისი თავი“ და მართლაც კარგათ რომ გავშინჯოთ, დიდი დაწყევლაა. რამდენი მარცხი მომხდარა ამ მეწყერისაგან, რადგანაც მიდიხარ გზაზე და უეცრად ჩავარდები დიდს ტალახში და წყალში, რომელშიაც ცხენიც ზურგამდის გაიელის! ამ მეწყერისა გამო ბევრი უბრალო ჯაფა გაუწევიათ ინჟინერებს; მათ ვერ შეუტყვიათ აქაური მიწის ზემოხსენენებული თვისება, რომ დაეწყოთ გზის კეთება რიონის მარცხენა ნაპირზე. მათ გაუკეთებიათ ერთი მშვენიერი ხიდი რიონზე მაგრამ ცოტა ხანს უკან მეწყერს სრულებით წაეხდინა გზა, და მას შემდეგ ისევე რიონის მარჯვენა ნაპირზე გამოეყვანათ ახალი გზა, რომელზედაც ჯერ ხიდებიც არ არიან გაკეთებულნი, და რამდენი უბედურება მოხდება ხოლმე ამ საშინელი ჩქარა მიმდინარე წყლებში გასელაზე!.. ბოლოს სიახლოვისა და მაღალი მდებარეობისა გამო რაჭამ იმერეთის ყველა მაზრებზე უფრო ცივი ზამთარი იცის; ზამთარის ყინვა მთელს იმერეთში განთქმულია და ამ აპრილის დამლევს როდესაც მე ვსწერ, ჯერ აქ ტყემალი არ აყვავებულა და ამ დღეებში, 22 რიცხვს კიდევაც სთოვლა, მაგიერად აქ არ არის ის ქარი, ქუხილი და მეხი, როგორც ვაკე-იმერეთში იცის და ჰაერიც აქ ბევრად უფრო მრთელია, ვიდრე იქ. ამ მრთელი და გრილი ჰაერისათვის და აგრეთვე სამკურნალო მადნეულ წყლებზე ზაფხულის გასატარებლად ამოდის აქ ხალხი ზემო და ქვემო იმერეთიდამ.

ამ წყლებს საზოგადოდ „მჟავე წყალს“ ეძახიან და უფრო განთქმული წყლები უწერამ იცის, რომელიც ონიდამ 12 ვერსტზედ იმყოფება. (*)რიგიანი აღწერა ამ წყლებისა ჩვენ არშეგხვედრია და ვეჭობთ, რომ კიდევაც სადმე იპოვებოდეს. უწერაში გამოდის რკინის წყალი, რომელსაც აგროვებენ ქვაბში და მერმე ნავებში ბანობენ. ამ საბანებელ წყალს „ვერძას“ ეძახიან. იქვე გამოდის სასმელი მჟავე წყალი, რომელიც ძალიან შუშხუნაა და დიდი სიცხოველე აქვს. სხვათა შორის ის სტომაქს სწმენდს, მადას მოჰგვრის კაცს და სასაქმებელი თვისებაც აქვს; გემოთი ეს მჟავე წყალი ბევრათ ზელტერის წყალს მიემზგავსება, მაგრამ სიმწარე ზელტერის წყლისა არა აქვს. ამას გარდა აქ არის ერთი ადგილი, რომლიდგანაც ოშხივარსავით გაზი გამოდის, ხალხი მიდის, ლერწამს (მასრებს) არჭობს მიწაში და სუნთქავს ამ გზას, რომელიც უთუოთ მავნებელი უნდა იყოს, რადგანაც თუ კაცმა ცოტა ბლომად ის შესუნთქა, მას თაებრუ ესხმის და გული უღონდება. ჩვენის მიხვედრით ეს უთუოთ ის გაზი უნდა იყოს, რომელსაც რუსულად „углекислый газъ“-ს ეძახიან: როდესაც მას ჩვენ ქაღალდით ანუ წუმწუმით ცეცხლი მივადევით, მაშინვე ცეცხლი გაგვიქრო. ამ მავნებელ მოქმედებას გარდა ამ გაზზე ცრუ მორწმუნოებაც გავრცელებულია: უშვილო დედა-კაცები მოდიან აქ და ხან დგებიან ფეხზე, ხან სხდებიან ამ გაზზე და მით იმედოვნებენ შვილის შეძენას. ღიმილს ვერ შეიკავებთ, რომ ნახოთ, როდესაც აქაური ქალები მოიყრიან ერთად თავს ამ ადგილზე და სხედან, თითქო კრუხებს თავიანთი წიწილები გამოჰყავთ...

ნიადაგი საზოგადოდ ნაყოფიერია, რადგანაც აქ კარგად უვლიან ყანებს და ვენახებს. პური და ღვინო უფრო კარგი ქვემო რაჭაში იცის, ბუგეულის მახლობელ სოფლებში. ღვინო ნაქებია ოლისა, ხვონჯკარისა და მართლაც ეს თავ. ყიფიანების ღვინო ბევრად მიემზგავსება კარგს კახურს ღვინოს. რაც მიეწერება, როგორც ზემოხსენებულთ სოფლების ნიადაგს, აგრეთვე ვენახის განსაკუთრებულ თავ. ყიფიანების მოვლას. ხოლო მაღალ ადგილებში ღვინო არ მოდის, და იქაურ მცხოვრებლებს უფრო მდაბალ ადგილებზე რიონის პირად ზერები აქვთ. შესანიშნავია, რომ ჯერ რაჭაში თითქმის ყურძენი არ ავათმყოფობს. კარგი მოსავალი იცის რაჭამ, მაგრამ

(*) ნაქერალას ეძახიან ამ მთას, რადგანაც აქ თ დროს ქერი ყოფილა დათესილი: ერთს რაჭის ერთავს ყოველი საშვალება ეხმარა, რომ მისი მამისაგელი, რომელიც ძალიან სასტიკად და შეუწყნარებლ ეპყრობოდა ხალხს, კარგად ეხსენებიათ. მას ბოს მოეგონა შემდგომი ზომა: ხალხის შესავიწროებლაქს განეზრახა მთის დახვნა და ქერის დათესვა; ხალხმაშინათვე დაეწყო ლოცვა მისი მამის სახელიდ ამ მთას კი სახელად ნაქერალა დარქმევია.

(*) მადნეული წყლები აგრეთვე გომში და გლოვაში არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის სივიწროემ სწორედ შეაწუხა ხალხი. აქაურის გლეხების უფროსს ნაწილს ისრე ცოტა მიწა აქვთ, რომ მარტო მიწის შემოსავალი ნახევარს წელს თუ ყოფნისთ და გაზაფხულამდის ძლივს გაჰყვება, მერმე კი მათ სულ ნასყიდის ნამუშავრით უნდა ირჩინონ თავი. ამატომაც ისინი იძულებულნი არიან წავიდნენ სამუშაოდ სხვა და სხვა ადგილებში. ქართლში, კახეთში და იმერეთში — ვინ, როგორც კრუები, ისე არიან ხოლმე მუშად, ვინ მეწისქვილედ, ვინ მეხაშედ, ვინ ხუროდ, ვინ მებაღედ და შრომობენ და ჯაფობენ. კახეთში რომ იმერული სახლები და ხულები გაუწყვიათ, ისინი სულ ამ რაჭველების აშენებულნი არიან. რამდენი დალოცვა და ქება გაგვიგონია ჩვენ კახეთში და ქართლში იმათ ხელოსნობაზედ, ოსტატობაზე: „ი'ინი (საზოგადოდ იმერეთის მდაბალი ხალხი) რომ არ იყვნენ, ამბობენ ქართლელები და კახელები, ჩვენ რა გვეშველება, ყველაფერი ხელოსნობა ჩვენში იმათგან გამოდის და მათ უჭირავსთ, თითონაც სარგებლობენ და ჩვენც გვასარგებლებენ“. მაგიერად რაჭველებიც ხშირად მოჰყვებიან ქართლის და კახეთის ლოცვას და მოგვხსენებათ რა მარილიანი დალოცვა იციან რაჭველებმა: „ქვე ღმერთმა ააშენოს, ამბობენ ხოლმე ისინი, და დალოცოს ქალაქი (ტფილისი) საქართველო (აქ, როგორც იმერეთში, საქართველოს შეცდომით მარტო ქართლს ეძახიან) ბატონო, ისენი ქვე რომ არ გვყვავდეს ჩვენს ყრუ ჭვეყანაში ქვე რა გვეშველებოდა, შენი ჭირიმე, ქვე შიმშილიდ დეეხოცებოდით, ისე დეიხოცა შენი მტერი. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ჩვენ რაჭველებს საქართველო!“ ადგილების სივიწროვე მართლა გასაკვირველია, და ამით აიხმნება ის ვასაოცარი ფასი, რომელიც აქაურ ადგილებს აძევს. არიან საყანო მიწები, რომელთაც ერთი დღიური იფასება 80 თუმ.! ამას მე ესწერ ერთი მომრიგებელი შუამავლის დარწმუნებისამებრ. საზოგადოდ 25, 30 თუმ. ისყიდება აქაური გამოსადეგი ქცევი (თითქმის დღიურია, — 900 კვადრატის საჟნი). თუმცა ხალხი შეწუხებულია სივიწროვისაგან და დრტვინავს თავის მდგომარეობაზე, მაგრამ სხვა ქვეყნებში გარდასახლებას კი არა ფიქრობს. კახეთში, წინანდალში, ყვარელში და სხვ. სოფლებშიაც ჩვენ გვინახავს რაჭელები იქ დასახლებულნი, მაგრამ სხვა ადგილებში კი არ მიდიან. როდესაც შარშან მმართებლობის მინდობილებისამებრ უფ. ხატისოვს რაჭველებისათვის აეხაზეთში გარდასახლებაზე წინადადება მიეცა. ამათ პირდაპირი უარი ეთქვათ და დაფუძნებულიყვნენ შემდგომ, ჩვენში ძალიან გავრცელებულ ანდაზაზე: რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დახევ ფარფაშებსა...

რაჭის მაზრა შეიცავს 51 სოფლის საზოგადოებას, რომელიც 129 სოფლებიდგან შესდგება და მცხოვრებლების რიცხვი 50 ათასამდი მიაღწევს (*). საზოგადოდ რაჭას ძლიერ მშრომელი და მუყაითი ხალხი ასხია. აქ მარტო მამრობითი სქესი კი არ მუშაობს და მიწას ხნავს და თესავს, არამედ ქალებიც მონაწილეობას იღებენ ყველა შრომაში და შემოდგომის დაწყებიდამ, როდესაც მათი ქმრები სამუშაოდ საქართველოში მიდიან, ოჯახი მარტო ქალებზე ტრიალებს თვით აღდგომამდი, როდესაც ვაჟკაცები შინ ბრუნდებიან. ჩვენ არა ვფიქრობთ, რომ საქართველოს რომელიმე მაზრაში ამ გვარ შრომის მოყვარე და მუშა ხალხი იპოვებოდეს, როგორც აქ, რაჭაში. მე უფრო გლეხ-კაცობაზე ვამბობ. თვით მათი აგებულების მოყვანილობა იმათ თვისებაებს ცხადათ გვაჩვენებს. ისინი კარგად ჩასხმულნი ზომიერის ტანისა, მხარ ბეჭიანი და ძარღვიანები არიან. იმათი ტანსაცმელი დიდათ არ განსხვავდება იმერლების ტანისამოსზე, მაგრამ მათ ზურგზე დაქვთ გუდა ცხვრის, ან ხბოს ტყავის ხალთა, — რომელზედაც ვაკელები (ქვემო იმერლები) რაჭველებს დასცინიან (რაჭული გუდა). ქალების ტანისამოსი კი აქ უფრო სხვა ნაირია: აქ ბაზრის დღეს ქალები ახალუხებით, ჩოხებით, პაჭიჭებით, ქალამნებით და ნაბდებით გამოდიან და ყელებზე როგორც თათრის ქალებს, სხვა და სხვა შუშების ღინჭილა ჰკიდიათ; ვერც ტანსაცმელით და ვერც სილამაზით აქაური ქალები ვერ დაიკვეხნიან. ზურიაში და სამეგრელოში ყოველს ეკლესიაზე კვირა დღეს ნახავ 20, 30 მშვენიერი შავთვალ წარბებიანი, ეშხიანათ, კეკლუცურად ჩაცმულ ქალებს და აქ კი ამ გვარებზე უკაცრავათ ვარ.თ. ალაპროტი რომ თვისებაებს აწერდა მე 17 საუკუნეში მეგრელ ქალებს, ის თვისებანი არც ამ ჟამად დაუკარგავთ აქაურ დიაცებს... ფილიპპე მაკედონიელი დაკვეხნით იტყოდა ხოლმე, რომ საბერძნეთის ციხეები ოქროთი დატვირთული ვირებით ადვილად აიღებაო; ის რომ ეხლა ცოცხალი იყოს, აქაური სიმაგრეებზედ იტყოდა, რომ ვერც ესენი გაუძლებენო ამ შემაცდუნარი კეთილ-შობილის მეტალის სიტრფოებას... და ბერძნების ღმერთს, ფენერას აქ მრავალი თაყვანის მცემელი ჰყავს, და რასაკვირველია, მსხვერპლებიც მოუთხოვიაო.

(შემდეგი იქნება).

პოლიტიკა.

სლოვენების ქვეყნები.

ბელგრადში ამბობენ რომ სერბიის მთავარი მიხეილ ობრენოვიჩი აპირობს კანონის გამოცემასაო, რომლის ძალით ყველა უცხო ქვეყნელებს შეეძლებათ მთელ სერბიის სამთავროში უძრავი მამული მოიპოვონ საკუთრებად, გარნა იმ პირობით, რომ ეს უცხო ქვეყნელნი უნდა დაემორჩილონ სერბიის მართლმსაჯულებასა და კანონებს.

— სერბიის ს ხალხო ჯარებმა ზოგიერთ მაზრებში სამხედრო სწავლა დაიწყეს; ყველა მხედარს ახალი თოფები დაურიგეს. ექვს სამხედრო მაზრაში დიდ სამხედრო ვარჯიშობას (მანევრებს) აპირობენ. რასაკვირველია, ეს სამხედრო მოძრაობა დიდ ყაყანს ასტეხს უცხო ქვეყნელთ გაზეთებში, მაგრამ საყაყანო აქ სულ არაფერია; ყველამ იცის, რომ ოსმალეთის ჯარი ყოველმხრივ ახვევია სერბიას. სარდარ ჰექმერ, ობარ-ფაშა, ამ ცოტა ხანში მივა რუშჩუკში და სერბიის საზღვარზე დაყენებულ ოსმალეთის ჯარის მთავარ-მმართებლობას მიიღებს. აგრეთვე ყველამ დაჭეშმარიტებით ვიცით, რომ ოსმალეთი საომრათ ემზადება. ზოგან ახალი სიმაგრეები ააშენა, და ახალი ზარბაზნები დადგა შიგ; აგრეთვე ბოსნიის საზღვარზედ ბევრგან გარნიზონი გამრავლა — ერთი ოთხად. სერბიის საზღვარზედ გაწყობილი ჯარი, ბაში-ბუზუკები და რედიფები ყოველ დღე მოდიან; ეს ჯარები ნიშის მიდამო ალაგებში აპირობენ დაბანაკებას. სიმაგრეების აშენება და ოსმალეთის ჯარის მოძრაობა იქაურ ქრისტიან მოსახლეებს ძალიან ბევრ შეწუხებას ათმენინებს, რადგან ზარბაზნებს და ყველა ჯარის ბარგსა და საზრდოს იმათ აზიდვინებენ. ოსმალეთის ბანაკის მახლობელ ალაგებში ქრისტიან მოსახლეებს დიდ შეიწროებას აყენებენ ოსმალეთის სალდათები და უმეტესად ბაში-ბუზუკები; ესენი ართმევენ ბოლგარებს ყოველის ფერს, რაც კი რამე საჭიროა იმათთვის და მაგიერის მიცემაზე სრულებით არა ფიქრობენ. მაგრამ არც ოსმალეთის მოხელეები აყრიან რამე კეთილს ხალხს, როგორც შემდეგი ამბიდგან გაიგებთ. ამ ახლო ხანებში ნიშის ფაშამ ყველა ქმეთები (სოფლის თავები, მამასახლისები) მოიწვია მეჯლიშში (საქალაქო სამსჯავროში) და შემდეგი კითხვა წარუდგინა: „მომავალისთვისაც სულთნის ერდგულობა გსურსთ, თუ სერბიის სამთავროსთან გინდათ შეერთება? როგორცა გსურსთ — გაბედვით მითხარით“. ამ გვარი მოულოდნელი კითხვისაგან შეჰკრთნენ გლეხები და რასაკვირველია რომ შემდეგი პასუხი უნდა მიეცათ: „ჩვენ ხელმწიფეს (სულთანს) ვეკუთვნით, გვინდა რომ კვლავაც იმას ვეკუთვნოდეთ; სერბია ჩვენი საქმე არ არის“. ფაშამ ამ მიგებით ისარგებლა და იქვე მეჯლიშში ხელი მოაწერინა იმ ქმეთებს (მამასახლისებს) სულთანის ერდგულობაზედა და ბეჭედიც დაასმევინა ზედ.

— ჩერქეზები (გადასახლებულები) ქოსის მინდორზე ძალიან ავიწროებენ მუნებურ მცხოვრებლებს, მართმადიდებლებსაც და კათოლიკებსაც, და რასაც კი მოახელებენ ყველას სტაცებენ, ასე რომ თითქმის პერანგსაც აღარ არჩენენ საწყლებს. ამ გვარი ძალადობისაგან ხშირი შეტაკება მოხდება ხოლმე მუსულმანებსა და ქრისტიანებს შუა და ორივე მხრით რაკვირველია მოკლულები და დაჭრილები არიან ხოლმე. დიდი ხანი არ არის ერთ სოფელში შეეტაკნენ ერთმანერთს ჩერქეზები და ქრისტიანები და იმ სოფლის მოსახლეთ ჩერქეზები დაიჭირეს და დახოცეს.

— ბეგლარ ბეგის, პანი ჩაიკოვსკის (სადიქფაშის) პოლშელმა ლეგიონმა უკმაყოფილება აღმოაჩინა და ძალიან არეულობაშია. ვგონებთ, ოსმალეთს რამდენიმე თვეა, რაც ამ თავის „ყაზახებისთვის“ ჯამაგირი აღარ მიუცია; ამისგამო ამ ლეგიონის უფროსებმა ძალა დაატანეს თავიანთ წინამძღვარს, რომ ქოსტანტინოპოლიდგან დაჭრილი ჯამაგირი მოეთხოვნა. ამ აღრეულობაში ოცი პოლშელი მომკვდარა და ბევრი დაჭრილა. როგოც ამბობენ აღრეულობა სახუმრო არა ყოფილა. ახლა პოლშის ლეგიონის შემცირებას აპირობენ და მერე უნდა გაგზავნონ მცირე აზიაში, ან, უფრო სწორედა ვსთქვათ, ლეგიონი უნდა დაშალონ. ხალხიდგანაც იწერებიან, რომ იქაური მოსახლეობა ამდგარა და ჯარს დაუმშვიდებია. აგრეთვე სივაზის საფაშოშიაც ამდგარან ჩერქეზები იქაურ მთავროსა და ქრისტიანების წინაღმდეგ, და ტრაბიზონის ჩერქეზებიც ადგომას აპირობენო. ამ გვარი ამბები ძალიან გახშირებულია.

— ბოსნიიდგან ყოველ დღე მოდის ბელგრადში სამწუხარო ამბები ოსმალებისაგან იქაური მცხოვრებლების შეწუხებაზედ. ბოსნიის ოსმან-ფაშა, როგორც ამბობს გაზეთი „სვეტოვიდი“, საკვირველად სცარავს იქაურ მოსახლეებს. ისა ჰკრებს კამმისიისაგან დანიშნულ ხარჯს დუკატებად (ფულია). იქაურ მცხოვრებლებში დუკატი 74, და ხშირად 80 გროშად ფდის; მაგრამ ოსმალეთის ხაზინა თითოს 50 გროშად იღებს, ასე რომ ფაშას, ხაზინადარსა და ჩარჩ-ურიებს, რომელნიც ხარჯსა ჰკრებენ, თითო დუკატზედ 20-გან 30 გროშამდის მოგება რჩებათ. ამ გვარად ფაშა, თავის თანაშეწეებით მარტო ერთ ხარჯის მოკრებით 110,000 დუკატს იგებს. ხაზინა კი სულ ქალალდის ფულსა სცემს, ისიც რაღაც ნაირს, ხელმოუწერელს. ამ ქალალდის ფულს „სენტს“ ეძახიან. ეს „სენტი“ (ვისაცა აქვს) უდა წაიღოს ჩარჩ-ურიებთან და იმათ გამოაცლევინოს, რადგან ამ ურიებს თითონ ფაშათანა აქვსთ აღებ-მიცემა.

ამას უნდა მიუმატოთ ყოველ დღიური ცემა და ტაცობა, რომლითაც ოსმალეთ სალდათები და ბაში-ბუზუკები აწიოკებენ ხალხს. ამ ბოროტ-მოქმედებამ მთელი ბოსნიის ხალხის უმადურება აღძრა. ბანიალუკში დიდი ხალხის ყრილობა მოხდა ამის თაობაზედ; იმ ყრილობამ შეადგინა პროტესტი (უდურების ქალალდი), რომელშიაც გამოაცხადა მხარის უბედური მდგომარეობა და მიართვა ოსმან ფაშას. ამ პროტესტს ხელი მოაწერეს როგორც ქრისტიანებმა, ისე მუსულმანების ბეგებმა და მაჰმადის სარწმუნოებისა აღებმაც. ოსმან ფაშამ რომ მიიღო ეს პროტესტი, იმ წამს გაგზავნა ტელეგრამმა ქონსტანტინეპოლს, რომ „მთელი ბოსნია ადგაო“ და მოითხოვა, რომ გამოეგზავნათ იმისთვის 30,000 ჯარის კაცი და 210 ზარბაზანი, „აღრეულობის დასამშვიდებლად“.

— იმავე გაზეთში („სვეტოვიდში“) სწერენ: ბანიალუკაზედ ოსმალეთის ჯარის დაცემის გამო ბოსნიის აღრეულობა სახუმრო აღარ არისო. აღები და ბეგები ქრისტიანებთან ერთად მოქმედებენ. რევოლიუციური მოძრაობა თესალიაში და ეპირშიაც ძლიერდება. ბელგრადში ამბავი მოვიდა, ვითომც ბოსნიაში ცდილობენ, რომ სერბიის ტახტზედ აიყვანონ ალექსანდრე ყარა-ბიორგის ძე, რომელმაც ოსმან ფაშას შემწეობა სთხოვა.

ოსმალეთი.

გაზეთ Nord-ში სწერენ: „ქრიტის (ქანდიის) დროებითმა მმართებლობამ ოსმალეთის ქრისტიანებს მოუწოდა, რომ იმათ აიღონ იარაღი და დაამხონ ოტომანის პორტის (ოსმალეთის) უფლება. ამ მოწოდებამ ქონსტანტინეპოლში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. იქ ხალხი დაჯერებულია, რომ თუ თესალიელნი და ეპირელნიც ადგნენ — ოსმალეთი სრულებით დაიღუპებაო. ქრიტის აღრეულობა ოსმალეთს 260 მილლიონ ფრანკამდის (65 მილიონი მანეთი — ერთი ფრანკი ხუთი შაურია) და 30,000 კაცამდის დაუჯდა. წარჩინებულ გენერალმა: იზმაილ-ფაშამ, მუსტაფა-ფაშამ და ომარ-ფაშამ სრულებით გაიტეხეს სახელი. ადმირალი ფესსიმ-ფაშა სრულებით დამარცხდა, და საუკეთესო სულთნის დიპლომატი, ალი-ფაშა, იძულებული იყო აღიარებინა, რომ კანდიის დასამშვიდებელი ღონე არა ჰქონდა. მაშ ახლა შეუძლიან ოსმაოეთს, რომ ამ გვარ გარემოებაში სხვა ქრისტიანებსაც გაუძღვეს ხმლით? ოსმალეთი მმუდარე თვალებით შესცქერის დასავლეთს; მაგრამ ფრანციას ძნელად შეუძლიან იმის შემწეობა. ეს ყველა სულთნის მინისტრებმა კარგა იციან. ფრანციისთვის უფრო უკეთესი იქნება თავი მიანებოს ოსმალეთს, ვიდრე შეერიოს იმის საქმეებში და იმის საქმეებზედ თავის გავლენით მოახდინოს ის, რომ ბერმანიის გაერთებას შეეწიოს. ანგლიასაც მხოლოდ ის უნდა, რომ შავ ზღვაზედ ზარალი არ მისცეს იმის საქმეებს. შეიძლება ავსტრიაზედაც ისივე ვსთქვათ; დიდი შემწეობა არც იმისგან არის მოსალოდნი. აი ეს ფიქრები აღონებენ ეხლა ოსმალეთის სახელმწიფო პირებს. შეჯგუფებული ძალა ოსმალეთზე ჭექა-ქუხილსა ჭლამის. იტალიის მმართეელობამ „Principe Tomaso“ — გემის თაობაზედ ძალიან გაბედული ნოტა (მიწერილობა) გაუგზავნა ოსმალეთს. ეს გემი რომ ბრინძინიდგან ალექსანდრიას მიდიოდა ოსმალეთის გემებიდგან ზარბაზნების სროლა დაუწყეს; ეს ჯერ მეორე შეურაცხება მიუყენებიათ ოსმალეთის წყლებში იტალიის იალქნისთვის. კიპრის კუნძულზედ აღრეულობა მოხდა. ოსმალეთის მმართებლობა ჰმალავდა ამას; და როდესაც ეს ამბავი (კიპრის აღრერლობაზედ) ერთ გაზეთში გამოაცხადეს, მაშინ ოსმალეთის მმართებლობა ცდილობდა გაემტყუნებინა ეს ამბავი. რაც უნდა იყოს კიპრის აღრეულობა საეჭვო არ არის, და ოსმალეთის მთავრობამაც იმის დასამშვიდებლად დიდძალი ჯარი გაგზავნა უკვე არხიპელაგის კუნძულთ გენერალ გუბერნატორის წინამძღვრობით.

— ქონსტანტინეპოლისა და თეირნის (ოსმალეთისა და სპარსეთის) ერთმანეთში შეხება კეთილ საიმედო აღარ არის. სპარსეთის შაჰი თავის ჯარს საომრად ამზადებს. ამბობენ, ვითომც ის აპირობს მილიციის შედგენას და როდესმე დიდძალი ჯარით უნდა ოსმალეთს დაესხასო. ქათოლიკების პატრიარქი დიდი ხანი არ არის მივიდა და მადლობა მოახსენა

(*) უფ. რადდე თავის მოგზაურობაში რაჭის მცხოვრებლების რიცხვს 48-ათ. რაცსავს.

სულთანს ქრისტიანებისადმი კეთილ-მიდრეკილებისათვის. შეეჭველია ისეთი ქრისტიანი ძნელად იპოვება, რომ ამ პირმოთნე მადლობაში რაიმე სიწრფელე ჰპოვოს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ.

ᲐᲜᲓᲠᲣ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ ისევ რესპუბლიკის პრეზიდენტათ დარჩება 1869 წლის 4 მარტამდე. ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ სენატის გადაწყვეტილობით ის გამართლდა; ახლა შეუძლია სთქვას, ვიხილე პირის პირ უპატიურებაო. ᲔᲠᲗᲘ ხმალა აკლდა, რომ ის დამნაშავეთ გამოეყვანათ. ᲔᲠᲗᲘ ამ გვარი ხმაც რომ იმის წინააღმდეგ აღმოჩენილ იყო, მაშინ ის სჯულისა მებრ დამნაშავეთ შეირაცხებოდა, მოაკლდებოდა თავის თანამდებობას და საზოგადო თანამდებობას ეეღარა ფერს ეეღარ მიიღებდა ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ რესპუბლიკაში. ᲔᲮᲚᲐ ცხადია, საქმის წარმოების დაწყება უბრალო ფორმათ ღა დარჩება. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ძნელად იპოვება სხვა ამ გვარი მიუდგომელი მაგალითი და ამ გვარი დიდი მართლ-მსაჯულება. ᲘᲡᲔᲪ მოვიგონოთ ამასთანავე, რომ პრეზიდენტის მსაჯულები პოლიტიკური მოქმედნი არიან და არა იურისტები და უმეტესი ნაწილი სენატორებისა ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ მტრები არიან. ᲐᲛᲘᲡ გამო, გასაკვირველია, იმ ხალხის კითილ-შობილება, რომელმაც თავის პირადი უკმაყოფილება არ გამოაჩინა მართლ-მსაჯულობის დროს, არც პრეზიდენტს ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲡ ჩაეთვლება გამარჯვება გამარჯვებად და არც იმის მტრებს დამარცხებად. ᲘᲛᲐᲡ ნუ ვიტყვით, რომ ერთი ღა აკლდა მომეტებულ-ორ მესამედ პრეზიდენტების ხმას, რომ ის დამნაშავედ შეერაცხათ. ᲘᲡ გასამართლება განა იმით კი არ არის "მესანიშნავი, რომ არასფრით დაბოლოვდა, არამედ იმითი, რომ ამისთანა ამბავი მოხდა. რესპუბლიკის თავი დაემორჩილა სასჯელს და "ჯული ყველაზე მძლავრი გამოჩნდა. პრეზიდენტის კადნიერ მოქმედებაებს უთხრეს: „ᲓᲐᲓᲔᲒᲝ!“ ᲘᲡ მისცეს საზოგადო სასჯელში და გაასამართლეს. ᲗᲣმცაღა ცხადათ კონსტიტუციის დარღვევა ვერ დაბრალეს, მაგრამ საზოგადო მიუნდობლობა მისადმი აღმოჩნდა და ამას აღარ შეეძლება ძველ კვალზე სიარული. ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲡ ცოტა დრო, დარჩა პრეზიდენტობისა, ასე რომ თავის სამხრეთელ მეგობრების სასარგებლოთ ეეღარას გააკეთებს. შემოდგომის ამორჩევაზე პრეზიდენტს არ ექნება გავლენა, რადგან "ჯულის დამცველთა შეუტყვეს უსინდისობა და დემოკრატებსაც არ მოეწონათ იმისი სიმხდლე გასამართლების დროს. ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ გამართლება იმის დასჯაზე უფრო სასარგებლო შეიქმნა ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡთვის. რომ დაესაჯათ, ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ მეგობრები იტყოდნენ სამართალმა მოდგომით იმოქმედაო; და ამის გამო საზოგადო აზრი ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ ქვეყნის თვალის წინ შეგინებული დაოჩებოდა.

—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲔᲑᲘᲡ თხოვნა ᲞᲐᲞᲘᲡᲐᲓᲛᲘ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ეპისკოპოსებს მოუწადინებიათ, თავიანთ ხარჯით 1,000 ეოლონტერის გაგზავნა ᲠᲝᲛᲡ, წმინდა ტახტის დასაცველად. ᲐᲛᲐᲖᲔ ეპისკოპოსებს თხოვნა გაუგზავნიათ ᲞᲐᲞᲐᲡთან. ᲞᲐᲞᲐ დიდის კმაყოფილებით დათანხმებულა ამ თხოვნაზედ, გარნა იმ პირობით, რომ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ეპისკოპოსებმა ის ჯარი არა თუ მარტო გაგზავნონ თავიანთ ხარჯით, არამედ შეინახონ კიდეც. Journal bes debats ამბობს, რომ ეს შემთხვევა შეერთებული შტატებისთვის კარგი სახსარია, რომ მშვიდობიანობის შემდეგ უსაქმოდ დარჩენილი სალდათები თავიდგან მოიშოროს.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ მიღებული.

ᲐᲗᲘᲜᲐ, 11 (23) მაისს. ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ მმართებლობა დიდ გაჭირებაშია, რადგან ᲐᲗᲘᲜᲐᲡ მისული ᲥᲐᲜᲓᲘᲘᲡ წარმომადგენელნი ითხოვენ, რომ საბერძნეთის მმართებლობამ სცნას ისინი და მიიღოს თავის დეპუტატთ პალატაში. ᲐᲛᲐᲖᲔᲓ ᲐᲗᲘᲜᲐᲨᲘ მყოფმა ოსმალეთის ელჩმა გამოუცხადა საბერძნეთის მმართებლობას, რომ თუ კანდიელების თხოვნა დაკმაყოფილდება, ჩემ პასპორტებს (ბილეთებს) მოვთხოვ იმათაო. ᲐᲛ შემთხვევაში ყველა ელჩებს, გარდა რუსეთის ელჩისა, ოსმალეთის ელჩის მხარე უჭირავსთ.

ᲑᲣᲛᲑᲔᲐ, 13 (25) მაისს. ᲐᲥ ამბავი მოვიდა, რომ რუსებსა და ბუხარელებს ბრძოლა მოუხდათ და ამ ბრძოლაში ბუხარელების ემირი მოკლესო. რუსის ჯარმა ბუხარიის სამფლობელოები დაიჭირა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 16 (28) მაისს. ᲓᲦეს „ᲯᲕᲐᲠᲘᲡ გაზეთში“ სწერენ, რომ გერმანიის მოხელეები ბეჯითად ადევნებენ თვალყურს ᲞᲝᲚᲜᲘᲡ სამეფოს საზღვრებს, რადგან ᲞᲠᲣᲡᲘᲘᲡ საზღვრის გაყოლებაზე განდგომილები შეკრებას აპირობენო. ᲑᲘᲜᲐᲓ, როგორცა სჩანს, იქმნებიან: შვირვინდი, ᲑᲝᲚᲓᲐᲞᲠᲘ, მარგრაბოვი და ᲚᲘᲙᲘ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 16 (28) მაისს. ᲒᲣᲨᲘᲜ წინა და იმის წინა დღეს, ᲕᲣᲚᲞᲘᲐᲜᲛᲐ რომ ლექცია წაიკითხა, იმის შემდეგ სტუდენტებმა სენატის სასახლის წინ მოახდინეს კიდევ არეულობა. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ შეერია იმათ დასამშვიდებლად და ამ შეტაკებაში ერთი სტუდენტი დასჭრეს.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ მიღებული.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 30 მაისს. სერბიის მთავარი მიხეილ ᲝᲑᲠᲔᲜᲝᲕᲘᲩᲘ მოჰკლეს; ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲨᲘ აღრეულობაა.

ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲛᲐ მიიღო რუსეთის წინადადება, რომ არც ერთმა მხარემ იმისთანა ტყვია არ იხმაროს, რომელიც სქდება და ჯარს მომეტებულად აზარალებს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 31 მაისს. ᲑᲣᲮᲐᲠᲘᲡ ქალაქის მცხოვრებლებმა რომ გაიგეს სამარყანდის დამორჩილება, გენერალ-ადიუტანტ ᲙᲐᲣᲤᲛᲐᲜᲗᲐᲜ გაგზავნეს მოციქული მორჩილობის გამოსაცხადებლად. მთავარი მიხეილ ᲝᲑᲠᲔᲜᲝᲕᲘᲩᲗᲐᲜ იმის ბიძის ასულიც მოჰკლეს; დაჭრილია იმის ქალი და ორი სხვა კაცი. ᲔᲠᲗᲘ მკვლელთაგანი დატუსაღებულია.

სერბიის მთავარი, 29 მაისს რომ ბელგრადის ბაღში დასეირნობდა, მაშინ დაეცა იმას სამი კაცი და ერთმა მათგანმა რეოლვერით მოკლა.

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲖᲘᲝᲠ�გᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲛᲝᲠᲛᲔᲢᲔᲖᲔ Უ. ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘ ᲘᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐ ᲓᲐᲣᲬᲔᲠᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲡ.

I

მეფის ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ II პირმშო შვილი ᲖᲘᲝᲠᲒᲘ დაიბადა გიორგობას 1746 წ. 10 ნოემბერს, ᲤᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ. ᲓᲔᲓᲐ მისი იყო ასული ᲖᲐᲐᲚ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ. ᲘᲡ იყო მეფის მეორე ცოლი რომელზედაც 1745 წელს ჯვარი დაიწერა და პირველი ცოლი ᲐᲜᲜᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲧᲐᲤᲚᲐᲜᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘᲡ ასული გაადგო. ᲐᲜᲜᲐᲡ ხელში ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ჰყავდა შვილი ᲖᲘᲝᲠᲒᲘ და ასული ᲗᲐᲛᲐᲠ.

III

მეფის წული რომ ოთხის წლისა გახდა, იმას მიუჩინეს ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ თავადი სეიმონ მაყაშვილი და ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ თავადი როიბ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ. რადგან ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ მალე გადაიცვალა, მეფისწულთან მარტო მაყაშვილი დარჩა. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ წერა-კითხვა მეფის წულს ᲘᲡᲐᲐᲙᲛᲐ ასწავლა. როგორც ამბობენ, ხუცურის წიგნების წერაში ძალიან დახელოვნებული და სწავლული იყოვო; ამასთანავე ძველი დროების ფილოსოფიაც ძ ლიან კარგათ იცოდაო; თათრული ენა ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲛ კარის კაცებისგან ისწავლაო, სომხურს კი ᲢᲔᲠᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘ, ᲨᲐᲘᲙᲝᲕᲘ და ᲧᲐᲘᲗᲘᲛᲐᲖᲝᲕᲘ ასწავლიდნენო. ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘ (ელლინურს) ბერძნულს ასწავლიდაო—ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ენის მასწავლებლათ ᲘᲝᲐᲜᲔ მოძღვრის შვილი დანიშნესო. ᲘᲡ იყოვო დიდი მწიგნობარი და იმ დროის ფილოსოფიის მცოდნეო.

IV

მეფის წულს წმინდა მამების ცხოვრების კითხვა სიყრმიდგანვე უყვარდა. ᲖᲔᲞᲘᲠᲐᲓ იცოდა ცხოვრება სახელ განთქმულთა მოწამეთა. ᲦᲕთის მეტყველებაში ძალიან გასწავლული იყო. ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ცხოვრება თითქმის გაზეპირებული ჰქონდა. ᲘᲛᲐᲡ უყვარდა მშვიდობიანი ცხოვრება, იყო ზრდილობიანი, მართალი, ფრთხილი მოლაპარაკე, მეტათ უხვი, კარგი მიმღები ქვრივთა და ობოლთა, მოწყალე და პურმარილიანი. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ სძაგდა ყოველ გვარი სიბინძურე, როგორც ქრისტეს მოყვარე და მეუდაბნოე, ისე იცავდა სულის უმანკოებას, განსაკუთრებით ეწყალებოდა ბერძნები, რომელნიც იყნენ თათრებისაგან დამონებულნი; ცისკარს, წირვას და სალამოს ლოცვას არ დაიკლდებოდა. ᲡᲣᲤᲠᲐᲖᲔ ულოცავათ არ დაჯდებოდა.

V

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ რვა წლისა იყო, როცა ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲗᲘᲡ მთავარი ᲖᲘᲠᲔᲘ-ᲝᲛᲔᲚᲘᲡ ქალზე დაინიშნა. მეფის საძლოს გასაზრდელათ გაგზავნეს თ. ᲡᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲨᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ექვსი მოახლე და ᲥᲕᲚᲘᲕᲘᲫᲘᲡ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ ᲜᲘᲜᲝ, ᲙᲐᲗᲘᲮᲔᲕᲔᲚᲘ; ეს ქალი იყო მწიგნობარი, და ენა გონებით სავსე. ᲗᲕითონ მეფე ᲖᲘᲝᲠᲒᲘ იტყოდა ხოლმე, ის იყოკო მარდი ცხენოსანი და მამაცობისთვის მეფის კარზე ძალიან პატივცემული იყოვო“. მეფის სასძლო ყვავილით მიიცვალა თავის დედ-მამის სახლში. როცა ᲜᲘᲜᲝ მობრუნდა იქიდგან, მსოველის საყდარში სოფელს რუისს მონაზნათ შედგა და მალე გადაიცვალა.

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ რომ თოთხმეტის წლისა გახდა, ᲙᲐᲮᲔᲗᲘ, ᲤᲨᲐᲕ-ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘ, ᲗᲣᲨᲔᲗᲘ, ᲥᲐᲠᲗᲚᲘ და ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ მოიმტრა, ნახა მაშინდელი სომხის ეკკლესიის თავი კათოლიკოსი ᲘᲐᲙᲝᲑ V, აგრეთვე ეწვია ᲖᲐᲜᲯᲘᲡ და ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ხანებს, რომელნიც იმდროს საქართველოს მოხარკენი იყვნენ.—

VI

1767 წ. მეფის წულმა ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲛ შეირთო ცოლათ ქიზიყელი თავადი ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ქალი, ᲭᲝᲠᲬᲘᲚᲘ დიდის ამბით გადახადეს 20 სეკტემბერს ქალაქს ᲤᲤᲘᲚᲘᲡᲡ. ᲐᲛ ᲭᲝᲠᲬᲘᲚᲖᲔᲓ აი რას მოგვითხრობენ. როდესაც ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡკენ მგზავრობდა, ის ეწვია რევაზ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სოფელს ᲕᲔᲯᲘᲜᲡ. ᲘᲛ დროს ალაზნის გალმა მხარეს ლეკები დაეცნენ. ᲘᲛᲐᲗ გამოუდგნენ კახელები და ომში ისეთი სიმამაცე გამოიჩინა რევაზ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, რომ მეფის წულს უკვირდა. როცა შინ მოვიდნენ, რევაზმა მხოლოდ მაშინ გაამხილა თავისი მძიმე ჭრილობა მუხლში. მეფის წულმა იქვე გამოუცხადა გულადს გმირს, რომ შენი და ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ უნდა შეეირთოო ცოლათაო. ᲥᲐᲚᲘᲡ მამა აღარ იყო ცოცხალი. ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲠᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ იყოვო, ამბობს ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ, და ის ხშირად იტყოდა ხოლმეო ამ ამბავს. ᲘᲡ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ გადაიცვალა ას შვიდი წლისა 1845 წელს ქ. ᲤᲤᲘᲚᲘᲡᲡ.

VII

ᲗᲔᲠᲐᲛᲔᲢᲘᲡ წლისა იყო, როცა ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲛ დაიწყო მამასთან სიარული, თუ ომში, თუ საზღვრების დასაველელათ; 1770 წელს დაესწრო ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ, სადაც ძალიან ამაყათ მოექცა გენერალ ᲢᲝᲢᲚᲔᲑᲔᲜᲡᲐ, რომელმაც არ მოახმარა რუსის ჯარი მეფესა და ᲘᲠᲐᲙᲚᲘ მარტო თავის ჯარით უნდა შებმოდა ოსმალებსა და გაემარჯვნა;—მეფის წულმა გაჯავრებით უთხრა—„ᲖᲔᲜᲔᲠᲐᲚᲝ, არ ᲒᲬᲧᲓᲠᲔᲑᲐ მეფის ღალატი.“-„მე იმპერატრიცისაგან არა მაქვს ნაბრძანები, რომ ასე პატარა ჯარით დიდ-ძალს მტერს შეევება და უბრალოთ ეიზარალოო“, იმან მიუგო.—ᲖᲔᲜᲔᲠᲐᲚᲝ „მაგით თქვენ რუსის ჯარს არცხვენთ და დიდის რუსეთის ღირსებას ამდაბლებთ, ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ჩვენსკენ იქნება; მტერს მარტონიც 'მეევებმით, გავიმარჯვებთ და შენს სიმუხთლეს კი იმპერატრიცას მოვახსენებთ“. როდესაც ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ეს ამბავი მოახსენეს, არ იამა მეფის წულის გულფიცხელობა, რომელიც იყო დარბაისლობის წინააღმდეგი; სამხედრო საქმეში ის უფრო გამოცდილი იყო და რუსეთის წყენას ერიდებოდა, რადგან მომავალში დიდი იმედი ჰქონდა იმისი.

ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲡ მტრები ამბობენ, ვითომც იმას მამისთვის არ მიეშველებინოს თავისი ჯარი ცხრა ასი კაცით. რა საბუთით ამტკიცებენ ამას, კაცმა არ იცის; ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ჟამს ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ოჯახში ჯერ კიდევ არ იყო განხეთქილება. ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ-ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲓᲒᲐᲜ ძმები ჯერ კიდევ არ დავაჭკაცებულიყვნენ და მეფის ოჯახში სიყვარული არ იყო მოშლილი.

მეორეს დღეს ᲢᲝᲢᲚᲔᲑᲔᲜᲘ ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲘᲡ გზას აღგა და მიდიოდა ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡკენ როდესაც შეიტყო ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ დიდებული გამარჯვება. მეფის წული სთხოვდა მამას, რუსეთს გაგზავნეო, რომ დიდს ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲠᲘᲪᲐᲡ მოვახსენო საქართველოს სამეფოს მდგომარეობაო, მაგრამ მეფე არ დაეთანხმა, და ელჩობა სხვებს მიანდო.

VIII

მეფის ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲡ ცოლი ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ იყო ის უშიშარი ქალი, რომელიც მოდიოდა ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡკენ და თან სამასი ცხენოსანი მოსდეევდა. ᲦᲐᲠᲢᲘᲡ-ᲙᲐᲠᲨᲘ იმათ შეხვედათ ხუთასი ლეკი. ᲗᲕითონ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲛᲐ უწინამძღვრა თავის ხლებულებს; სამს ალაგას მოიმაგრეს ფეხი ლეკებმა, მაგრამ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲛᲐ სამჯერვე დაამარცხა ისინი თავის ჯარითა. ᲔᲠᲗᲘᲡ თვეს შემდეგ, როდესაც მუხრანიდგან ᲤᲤᲘᲚᲘᲡᲡ მობრუნდა ᲘᲠᲐᲙᲚᲘ, დიდის ამბით დახვდა თავის მამაცრძალს. ᲩᲘᲠᲐᲦᲓᲐᲜᲘ და ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲘᲡ სროლა იყო. ᲔᲡ იყო 1778 წელსა. ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ძალიან ნაღელობდა თავის რძლის სიკვდილს. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ მწუხარებით შეპყრობილმა წარმოსთქვა: „ᲩᲔᲛᲘ ოჯახი ახლა დაიღუპაო„—ᲖᲘᲝᲠᲒᲘ მეფის შვილი თეიმურაზი მეტყოდაო, ამბობს ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ: დედა ჩემმა სიკვდილის ჟამს მითხრაო რომ ჩემი ვეცხლეულობა იერუსალიმის პატრიარხს გაუგზავნეთ სულის სახსენებლათაო... სასოება ჰქონდათ ქართველებს იერუსალიმზე! ᲦᲛᲠᲗᲘᲡ ქალაქიდგან გადმოსული სხვი ნათლისა განაბრწყინებდა მეფის ტახტსაც და გლეხის ქოხსაც. ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ სახელი დიდი ნუგეში იყო საქართველოს ხალხისთვის...

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲕᲔᲕᲠᲓᲝᲛᲘ ᲡᲐᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲘᲡ უკანასკნელი რეფორმები (ცვლილებანი).—ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘ ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲐᲨᲘᲐ და ᲖᲔᲠᲪᲝᲒᲝᲕᲘᲜᲐᲨᲘ.—ᲖᲔᲠᲪᲝᲒᲝᲕᲘᲜᲐᲨᲘ ოსმალეთის მოხელეების კაცთმოყვარეობა. ᲓᲐᲚᲛᲐᲪᲘᲔᲚᲘ პატრის ლაპარაკი სლოვენების ხალხის შეერთებაზედ.

ᲐᲛ უკანასკნელ დროში რომ სახელმწიფო წყობილების ცვლილება მოდხა ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲐᲨᲘ, აქამდის სულ ისა აქვსთ საკლაპარაკოდ. ᲔᲡ ახალი ცვლილება ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲘᲡ სახელმწიფო წყობილების ორ საგანს შეეხება: შინა მმართველობას და სახელმწიფო ხაზინას. ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ მთავარი იყო ხაზინის სრული ბატონი და ფულის შესახებ განკარგულება მხოლოდ იმას ეკუთვნოდა. ᲐᲛᲐᲡ გარდა ყველა სხვა უფლებაც იმას ეჭირა ხელში, ესე იგი ის იყო უზენაესი მმართველიც, მსაჯულიც, სასულიერო მმართველობის ხელმძღვანელიც,

ყველა თავის სამთავროს სასწავლებლების მეთვალყურეც და სხვ. ერთის სიტყვით ის იყო თავის ქვეყნის სრული და შეუზღუდველი მეუფე. ახლა კი, ახალი წყობილების ძალით ფულის საქმე მთავრისაგან სენატის ხელში გადაეიდა. მთავარმა სახელმწიფო ხაზინა სენატს ჩააბარა და ამასთანავე წარუდგინა ანგარიში, თუ აქამდის, რაც იმის ხელში იყო, როგორ გამგებლობდა სახელმწიფო ფულებს. ამასთან რაც აქამდის ქონება ეკუთვნოდა მთავარს სამ ნაწილად გაიყო: 1) სახელმწიფო, 2) საეკკლესიო და 3) სამთავრო ნაწილად. სახელმწიფო ქონება მიანდეს სენატის უწყებას, რომელმაც თავისგან სამი კაცის კომისია შეადგინა და სახელმწიფო ხაზინაც და ქონებაც იმის გამგებლობას ჩააბარა. ეს კომისია შესდგა: თავმჯდომარისაგან, ხაზინადრისაგან და მდივნისაგან. ამ კომისიის თავმჯდომარედ მთავრის ძმის წული დანიშნეს—ბოჟო პეტროვიჩი.

საეკკლესიო ქონება ჩერნოგორიის ეპისკოპოსის გამგებლობას ჩააბარეს; აგრეთვე სამთავროს ყველა სასწავლებლების ზედამხედველობაც იმას მიანდეს.

სამოსამართლო უფლებაც სენატს გადაეცა, სენატის ხელში აგრეთვე სამთავროს შინაგმართებლობაც უნდა იყოს, გარნა უზენაესი უფლება კი მთავარს უნდა ეკუთვნოდეს. ამის გამო სენატი კომიტეტებად გაიყო; ეს კომიტეტები შემდეგნი არიან: სამხედრო საქმეთა, ადმინისტრატიული(სახელმწიფო სამმართველო), საფინანსო (ფულისა) და სამოსამართლო. მთავარმა რა აიყარა დამოუკიდებელი, თავის ნებითი უფლება, სთხოვა სენატს, რომ დაენიშნა იმისთვის, იმის სახლობისთვისა და სასახლისთვის საჭიროებელი ჯამაგირი. სენატმა დაუნიშნა 10,000 ავსტრიის ოქრო, მაგრამ მთავარმა იბეერა და ითხოვა რომ შეემცირებინათ; ბოლოს მრავალი თხოვნის შემდეგ 6,000 ოქრო აიღო წელიწადში, თორემ ამაზედაც ნაკლები უნდოდა. ეს ექვსი ათასი ოქრო ჩვენ ფულად 17,000 მანეთი იქნება, 1700 თუმანი.

ამ გვარად მთავარმა, სრულებით მოულოდნელად, ახალი ცვლილება შემოიღო თავის სამთავროში. ამ მთავრის განკარგულებამ სასიხარულო შთაბეჭდილება მოახდინა სლოვენებში. ყველამ სასიხარულოდ მიიღო ეს სასიქადულო ბიჯი,—ის ბიჯი, რომელმაც ჩერნოგორიის მმართებლობა სახალხო განათლებისა და წარმატებისაკენ მიმართა; მაგრამ ეს კი იყო რომ ყველა გაოცდა და არ იცოდა, თუ რომელი მიზეზებისთვის დაებრალებინა მთავრის ბედნიერი ნაფიქარი. რასაკვირველია, მრავალი მრავალ ნაირ მიზეზს აბრალებენ. ზოგი მთავრის ამირ-სპასალარს ვუკოტიჩს აბრალებდა ამ ცვლილებას, ზოგი სერბიის ელჩს რისტიჩს და ზოგი კიდევ სხვას; სხვები კი ამასა ფიქრობენ, რომ შემოუსაზღვრელი უფლების აყრაზედ მთავარი ნიკოლოზი ჩერნოგორიის შიმშილმა და სისაწყლემ აიძულაო. რადგან მშიერი ჩერნოგორიელნი წამდაუწამ მიდიოდნენ მთავართან, როგორც სახელმწიფო ხაზინადართან, და პურსა და ფულსა სთხოვდნენ, ამის გამო, რომ თავი დაეხწივა იმათი მოუწყვეტელი თხოვნისაგან, მთავარმა სახელმწიფო ხაზინა თავიდგან მოიშორა, და სენატს გადასცაო. მაგრამ მომეტებულნი სერბიის მმართებლობის რჩევას აბრალებენ ამ ცვლილებას, და ჩერნოგორიის ხალხიც ამ აზრისა არის; ამის გამო დიდი აღტაცებით არის მადლობელი იმისი, რომ მათ კეთილ დღეობასა ცდილობს... რა მიზეზისაგანაც უნდა იყოს ჩერნოგორიის სახელმწიფო წყობილების ახლანდელი ცვლილება, მაინც დიდს პატივსა სდებს ჩერნოგორიის მთავარს, მით უფრო დიდ პატივს, რომ ამით იმან თავისი უფლება შემოიისაზღვრა, და თავის ნებად აღარ განაგებს მთელი სამთავროს ბედსა და უბედურებასა. როგორც ზევითა ვსთქვით ამ ცვლილებამ ხალხი განათლებისა და წარმატებისაკენ მიმართა.

ზევითა ვსთქვით ჩერნოგორიისა და ზერცოგოვინის სიმშილზედ. მართლა რომ გასაოცარი სიმშილია ამ სამთავროებში. თუ კაცმა თავის თვალით არა ნახა, ვერ შეუძლიან წარმოიდგინოს იქაური მცხოვრებლების უბედურება და სიგლახაკე. სიმშილისაგან ხალხი სწორედ რომ იმუსრება. ჩერნოგორიაში კიდევ სხვის მოწყალეების იმედი აქვსთ, მაგრამ რა ქნან საწყალმა ზერცოგოვინის მცხოვრებლებმა, რომელთაც ოსმალეთის მთავრობა სხვისგან მოწყალეების მიღებას უშლის. მართლა, რომ კაცმა თუ თავის თვალებით არა ნახა, იმ უბედურების წარმოდგენა არ შეიძლება, რასაც ახლა ქრისტიანი მოსახლენი ითმენენ ოსმალეთის მთავრობისაგან. შემდეგი ნამდვილი ამბავი შეგატყობინებსთ, თუ რა უბედურ მდგომარეობაში არიან ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები.

ტრიესტში მოვაჭრე ზერცოგოვინელმა ვაჭრებმა რომ შეიტყეს თავიანთ ქვეყნის სიმშილი, მოაგროვეს ერთმანერთში პური, დაუდეს გემებზედ და გაგზავნეს ზერცოგოვინას, რომ იქ ყველა ძალიან გაჭირებულისთვის (ესე იგი ქრისტიანებისათვისაც და მაჰმადიანებისათვისაც) დაერიგებინად უფასოდ. ამ პურის დარიგება მიანდეს ორ ძმას ბოშკოვიჩებს, (რომელნიც ძალიან მდიდრები არიან და ხალხის გაჭირებისთვისაც თავ გადადებულნი). საქმე ჩინებულად დაიწყო. ბოშკოვიჩებმა ყველაფერი ისე მოაგვარეს, როგორც სამჯობინო იყო და ამისთვის იმათ არც ცდა და არც ფული დაუშურებიათ; ამასთან ისე ურიგებდნენ პურს, რომ არც შთამომავლობას და არც სარწმუნოებას არჩევდნენ—ყველას ერთნაირად უძღვებოდნენ. მაგრამ, როგორც სჩანს, ოსმალეთის მმართებლობას ჰსურს, რომ იმისი ქვეშევრდომნი სულ სიმშილით ამოსწყდნენ. ტრებინის ყაიმაქმა (გუბერნატორმა) თავის სამოხელოს მშიერ მცხოვრებლებს სასტიკად აღუკრძალა ბოშკოვიჩებისგან პურის გამორთმევა. ეს კიდევ არა ფერი, იმან გამოაცხადა რომ, ვინც ბოშკოვიჩებს პურს გამოართმევს, იმას სახელმწიფო მოღალატედ ჩავთვლიო. აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ყველაზე უფრო ტრებინის მაზრა არის დამშეული. აბა ახლა როგორ მოგწონთ სულთანის მამობრივი მზრუნველობა და იმის მოხელეების ქცევა უბედური ქრისტიანებისადმი?... ამ ამბის შემდეგ, რასაკვირველია, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უნდა იამაყონ და თავი მოიწონონ, რომ სულთნის მმართებლობა ახირებულად აბიჯებს დასავლეთ ევროპიის განათლებისაკენ და სულ წარმატებაშია!!.

ამას გარდა სხვა საქმეშიაც სჩანს ოსმალეთის მმართებლობის წინ წასვლაში წარმატება. რაღამაც აფიქრებინა სულთანს ზერცოგოვინის საზღვარზედ სიმაგრეების აშენება და სამხედრო გზების გაყვანა. რასაც სულთანი იფიქრებს, ის, რაღა ჩიჩინი უნდა, რომ უნდა აღსრულდეს. ამ ფიქრის აღსრულებისთვის ოსმალეთს მუშა ხალხი დასჭირდა. მაგრამ ამისთანა საქმეზედ ოსმალეთის მმართებლობა ბევრს აღარ ფიქრობს ხოლმე ან კი რაღა ფიქრი უნდა? რაიები იქ არა ჰყავს. (ოსმალეთის მმართებლობა რაიებს ეძახის ყველა თავის ქვეშევრდომს, ვინც კი მაჰმადიანი არ არის). მაინც ეს რაიები არიან იმის ხარ-კამეჩი, და მუშათ ხომ-რა უშავსთ. ახლა სიმაგრეებისა და გზების საკეთებლადაც გაირეკეს საწყალი ქრისტიანები და იმათში ორიოდე მაჰმადიანიც გაურიეს, უფრო საჩვენებლად, ვიდრე საქმისთვის რასაკვირველია. ამ უბედურ ქრისტიანებს არა ჰკითხეს: აქვსთ თუ არა იმათა და იმათ ცოლ-შვილს საზრდო, რომ რჩენა შეეძლოსთ. ოსმალეთი თავის მუშას საზრდოს არაოდეს არ აძლევს. მმართებლობამ ამ მუშებს დღეში თითოს თითო პიასტრი (შაური და ორი გროში) დაჰპირდა დღიურ ფასად, მაგრამ ამბობენ იმასაც არ აძლევსო. ნამდვილი წყაროებიდგან გვარწმუნებენ, რომ მომეტებული ნაწილი ამ მუშებისა ისე შეწუხებულნი და დამშეულნი არიან, რომ თვით ძაღლებსაც შურით ყეყურებენო, როდესაც იმათ პატრონი თავის ნასუფრალს ყურისო! ეს ყოველი ფერი ევროპაში ხდება, რომელიც ყველას არწმუნებს, რომ რაკი ოსმალეთი ევროპიის სახელმწიფოდ შეირაცხა, მას აქეთ განათლებაშია და და კაცთ მოყვარეობითს მზრუნველობაში, არც ერთ წარჩინებულ სახელმწიფოს არ დაუვარდებაო! ესეც განათლება და კაცთმოყვარეობითი მზრუნველობა!—

ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანებს ერთმანერთში უთანხმოება აქვსთ, რადგან ზოგი მათგანი კათოლიკია, ზოგი მართლ-მადიდებელი. ამ უთანხმოებისა გამო იმათ ვერაფერი საქმე ვერ მოუგვარებიათ საერთოდ; ამ გაცალკ-ცალკეევებისაგან და ერთმანეთის მტრობისაგან ოსმალეთი უფრო დაურიდებლათ იქცევა იმათ შესახებ. ზოგი ერთებმა იგრძნეს ამ უთანხმოების შედეგი, მაგრამ ზოგიერთმა, და არა ყველამ. ერთ დალმაციელ პატრს ჩინებული აზრი უთქვამს ამ სარწმუნოებისაგამო გაცალკცალკეევებაზე. „სარწმუნოებას რა ხელი აქვს ხალხის შეერთებასთან. ჯერ პირველად ჩვენ უნდა ვეცადოთ რომ სახალხო დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ; ამ მიზნამდის კი მაშინ მივახწევთ, როდესაც ყველა სლოვენები, სარწმუნოების გაურჩეველად, ძმურად შეერთდებით ერთად. სარწმუნოებამ არ უნდა დაგვიშალოს ჩვენ ხალხობრივის შეერთება და ან კი როგორ შეუძლიან დაგვიმალოს.“ თუ ყველა სლოვენები ამ აზრისანი შეიქმნებიან, მაშინ უფრო მოსალოდნი იქნება, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები, თავიანთ მმართებლობისაგან ცოტათი დაიჩაგრებიან; და თუ არა შინაური უთანხმოებისაგან გამოლეულ ძალას ოსმალეთის მმართებლობა სრულებით გამოულევს, როგორც გვაჩვენებს იმის ეხლანდელი ქცევა ქრისტიანების შესახებ.

სხვა და სხვა ამბავი.

რეინის პირზე ერთი სამთავროა მეტად პატარა, რომელსაც ეძახიან ლიხტენშტეინის სამთავროს. წინათ რომ ზერმანიის კავშირი არსებობდა, იმდროს ლიხშტენშტეინის თავადს ოთხმოცი კაცი ჯარი უნდა ჰყოლოდა, თუმცა იმისი რჩენა ძალიან უჭირდა იმის სახელმწიფო ხაზინას. ამ ჟამად იმან დაითხოვა თავისი ჯარი და მთელს ევროპას უჩვენა პირველი მაგალითი ჯარების დათხოვნისა.

არაკი იმპერატრიცა ჟოზეფინაზე. უ. ბოსონვილმა დაწერილებით აღწერა ფრანკიის პირველი იმპერიის ბრძოლა ეკკლესიასთან. ნაპოლეონის გაყრა თავის პირველ მეუღლესთან ჟოზეფინასთან შესანიშნავი რამ მოთხრობა არისო. ბოსონველის თხზულებაში: „ერთხელ ნაპოლეონი და ჟოზეფინა მარტონი ისხდნენ სადილათ, როცა ნაპოლეონმა განუცხადა გაყრა თავის მეუღლესა. იმპერატრიცას ცნობა მიეღო, დაავარდა და აღარ მობრუნდა. ნაპოლეონს შეეშინდა და გავარდა თავის კაბინეთში კამერგერის უ. ბოსეს დასაძახებლათ. ჟოზეფინა კიდევ უგრძნობლათ ეგდო. იმპერატორს არ ჰსურდა, რომ სასახლეში შეეტყოთ ეს ამბავი და სთხოვა ბოსეს რომ იმპერატრიცა აეღო და საიდუმლო კიბით ჟოზეფინას ოთახებში წაეყვანა. რასაკვირველია, კამერგერი ამათ იყო ემსახურნა. იმან აიყვანა იმპერატრიცა და მიზდევდა იმპერატორიცა, რომელსაც ფეხებზე ხელი ეკიდა და ისე მიდიოდა კიბეზე. უ. ბოსსე როგორ მოიფიქრებდა, რომ ჟოზეფინა მოგონებით იყო ცნობა მიხდილი. რაღაც საუბედუროთ ის შეჩერდა, უნდოდა ხმლის გასწორება, რომელიც უშლიდა სიარულსა. ამ გასწორების დროს იმან უფრო მაგრათ შემოჰხვია ხელი იმპერატრიცას, რომ ძვირფასი ტვირთი ხელიდგან არ გავარდნოდა; უნდა წარმოიდგინოთ, როგორ განცვიფრდა კამერგერი, როდესაც ჟოზეფინამ უჩურჩულა; თუ ღმერთი გწამთ ეგრე მძლავრათ ხელს ნუ მიჭერთო“.

სახაზინო განცხადება.

სამაზრო ინჟინერების სამმართველო ქავკასიის სამხედრო სამაზრო რჩევის გადაწყვეტილებისამებრ აცხადებს, რომელსაცა ჰსურს აიღოს იჯარით გალავანის აშენება ზროზნის ლაზარეთის გარეშემო 3734 მანეთად და $46^1/_2$ კაპეიკად. ვაჭრობა ზეპირად იქნება და მოხდება ზროზნის პრისუსტვიაში, იქაური ლაზარეთის კანტორაში. დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, ვინც დაბეჭდილ განცხადებაებს წარადგენენ 1868 წელს 17 ივნისს.

ამ იჯარის დაწერილებითი პირობაების შეტყობა, აგრეთვე დამტკიცებული პლანის ნახვა, ზროზნის სამხედრო კანტორაში შეიძლება ყოველ დღე, 9 საათიდამ 2 საათამდის უქმე დღეების გარდა. იმ პირთ, რომელთაც უნდათ ზეპირათ ვაჭრობაში დასწრება, უწინვე, ან ერთი დღის წინად ვიდრე ვაჭობა მოხდებოდეს, უნდა წარადგინონ ზროზნის ლაზარეთის კანტორაში კუთვნილი მოწმობები თავის წოდებაზედ და გირაოები რომ დრო ჰქონდეთ წინადვე გაშინჯვისა. დაბეჭდილი განცხადებაები უნდა მოიტანონ ან გამოგზავნონ 12 ათ-საათამდის; ამას შემდეგ კი აღარ მიიღებენ. ის განცხადებაები უნდა იყვნენ დაწერილნი, 1909 მუხლში, 1 ნაწ. X ტომ. სამოქ. იმ ფორმით, რომელიც მიმატებულია სჯულის კრებაში (გამ. 1857). ფასი ზედვე უნდა იყოს წარწერილი; იმასთან უნდა იყვნენ: წარდგენილნი 1, მოწმობა თუ რომელ წოდებას ეკუთვნის იჯარადარი და 2 სრული გირაოები.

თუ განცხადება იმ ფორმით არ არის დაწერილი, როგორც აქ არის მოხსენებული, არ მიიღებენ. რომელნიც ვაჭრობაში დასწრნენ, ან რომელთაც თავის მაგიერი კაცები გამოეგზავნიათ, იმთგან წარდგენილს დაბეჭდილს განცხადებებს არ მიიღებენ.

—ქავკასიის დივიზიის შტაბი აცხადებს, რომ ამ შტაბში დანიშნული ვაჭრობა ქართველების ქვევითი ჯარის ტანისამოსის შეკერვის იჯარით აღებაზედ, რომელიც ამ წელში იყო დანიშნული, რამდენსამე ხანს გადაიდება. ამ ვაჭრობაზე საკუთარი განცხადება დაიბეჭდება.

—ვლადიკავკაზის საქალაქო სამმართველოში 1868 წლის 2 ივლისს მოხდება ვაჭრობა ზეპირად და დაბეჭდილი განცხადებაებით, მესამე დღეს ვაჭრობის განმეორებით ამავე 1868 წლის 15 აგვისტოსთვისა და 15 ოკტომბრისთვის თავის მოსამზადებლათა და მისატანად შემდეგ ყაზახის პოსტებში (სადმომბინებში):

ვლადიკავკაზისა	11,340	ფუთი.
რედანთისა	1,350	—
ბალტისა	1,500	—
ჯერახოვისა	1,800	—
ლარისა	1,500	—
დარიალისა	1,800	—

ამ იჯარის ასალებად წარდგენილი გირაო ნახევარ იჯარის ფასათ უნდა ელირებოდეს.

დაბეჭდილი განცხადებაები მიიღება ვაჭრობისა და ვაჭრობის განმეორების დღეს დილის 11 საათამდის. ამ ვადა შემდეგ დაბეჭდილი განცხადებაების მიღება არ შეიძლება.

ვისაც ვაჭრობა ჰსურსთ განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ წოდებისა და ვაჭრობის სიმართლის მქონებლობის ქაღალდი. აზნაურებისთვის ვაჭრობის სიმართლის მოწმობა არ არის საჭირო, გარნა წოდების ქაღალდი კი მოეკითხებათ.

ვისაც ზეპირათა ჰსურს ვაჭრობა, იმათ გასხნილი განცხადებაები უნდა წარადგინონ იმაზედ, რომ ვაჭრობა ჰსურსთ, ამასთანავე უნდა დაურთონ გირაო და წოდების და ვაჭრობის სიმართლის მოწმობა.

განცხადებაები 70 კაპეიკიან ღერბის ქაღალდზედ უნდა იყოს დაწერილი და იმ რიგით, რა რიგიც ნაჩვენებია სამოქალაქო კანონთ-ქრების მე-10-ე ტომის 1909 მუხლში.

ვისაც ამხანაგობითა ჰსურსთ იჯარის აღება, იმათ თავიანთ განცხადებაებში მკაფიოდ უნდა სთქვან ერთად კისრულობენ იჯარას, თუ ნაწილობით და ამასთან ისიც თუ რომელი რამოდენ ნაწილს იღებს თავიზედ.

პირობაების წაკითხვა შეიძლება; ვლადიკავკაზის საქალაქო და სამაზრო სანტენდანტოში ყოველ დღე დღესასწაულებს გარდა, დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევ ორ საათამდის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го іюня 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.